# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.—პარასკევი, 31 მარტი 1900 წ. № 1087

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|
| 10 მანეთი | 6 მან. | 4 მან. |

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|
| 6 მანეთი | 3 მ. 50 კ. | 2 მანეთი | 75 კაპ |

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ვაგახსენებთ «მოამბისა» და «ცნობის ფურცლის» იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ფული ნაწილ-ნაწილად შემოაქვთ, რომ მეორე ნაწილის—3 მანეთის—შემოტანის ვადა თავდება 31 მარტს.

## „სლავიანსკიე ნომერა“

**მშვენივრად მოწყობილი**

ქალაქის შუა გულში, რუსის ბაზარზე.

ერთი დღე და ღამე 50 კაპ.-დან 2 მანათამდე. ერთი თვით 10 მანეთიდან 40 მანეთამდე.

ყოველივე სუფთად და რიგიანად არის მოწყობილი.

იქვე ქირავდება დიდი დარბაზი ქორწილების გასამართავად.

(6.4—3) დ. ხუნდაძე.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(ნ. 0—38)


## რედაქციისაგან

ვაცხადებთ «მოამბის» ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ ვისაც ჟურნალის ნომერი არ მიუვა, მან განცხადებასთან ერთად უნდა გამოგვიგზავნოს ფოსტის კანტორის მოწმობა, რომ ნომერი არ მიუღია. ეს მოწმობა რედაქციისთვის საჭიროა, რათა ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობას მოსთხოვოს დაკარგული ნომრები. წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია ვერ დააკმაყოფილებს ხელისმომწერთ და ხელმეორედ ვერ გაუგზავნის ნომრებს.

## მთავრობის განკარგულებანი

### უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:

77-ის თენგინის პოლკის პოდპრაპორშჩიკებს ცაგარელს და მდივანს ებოძათ პოდპორუჩიკობა.

83-ის სამურის პოლკის პოდპრაპორშჩიკს თეთრაძეს ებოძა პოდპორუჩიკობა.

### ბრძანება სამოქალაქო უწყებას

ქვეშე-ის (დუშეთის მაზრა) პოლიციის ბოქაული ფურცელაძე დაინიშნა თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ.

ახალქალაქის სამაზრო მმართველობის კანცელარიის მოხელე ალექსი მიქელაძე დაინიშნა იმავე მმართველობის თარჯიმნად.

აზნაური დავით ჯავახიშვილი დაინიშნა გორის მაზრის მმართველობის კანცელარიის მოხელედ.

იმავე მმართველობის მოხელე თავ. ილია ციციშვილი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, რადგანაც დროზედ არ გამოცხადდა სამსახურში.

აზნაური პავლე ზაალიშვილი დანიშნული იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონად.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე იასონ ხახუტაშვილი გადაყვანილი იქმნა სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელედ.

ფოსტალიონები: ტფილისის კონტორისა ნიკ. კვირიკაძე, ბათუმისა—იოსებ ტატიშვილი და ბორჯომისა—ალექსანდრე კაკაბაძე დაინიშნენ: კვირიკაძე—სართიჭალას, ტატიშვილი—ბორჯომს და კაკაბაძე ბათუმს.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი გრ. სვანიშვილი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან თავისავე თხოვნით.

ამოშლილ იქმნა სიებიდან გარდაცვალებისა გამო ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის ნოშრევან ოქროპირიძე.

ბაშნორაშენის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელე გიორგი ცისკარაშვილი გადაყვანილ იქმნა ყაზახის განყოფილების მოხელედ.

## ახალი ამბავი

✦ პასუხად იმ დეპეშისა, რომელიც სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ერმოლოვმა გამოუგზავნა **კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას** და რომელიც გუშინ იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში, საზოგადოებას გუშინ გაუგზავნია მინისტრისათვის შემდეგი დეპეშა: „საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭო თავის მოვალეობად რაცხს გამოუცხადოს საზოგადოებისაგან ულრმესი მადლობა თქვენს მაღალაღმატებულებას იმ მოლოცვისათვის, რომლითაც თქვენ პატივი სცით საზოგადოებას და აღნიშნეთ მისი მოღვაწეობა 50 წლის განმავლობაში ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ. საზოგადოების საბჭოს იმედი აქვს, რომ მომავალშიაც მას არ მოაკლებთ თქვენს განათლებულს მფარველობას და დახმარებას ქვეყნისათვის სასარგებლო ზომებისა და კანონების დადგენით. რადგანაც მალე შესრულდება ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა რუსეთს შეუერთდა, საზოგადოებამ განიზრახა აღბეჭდოს კავკასიის ერთა მეხსიერებაში ეს ღირსშესანიშნავი დღე საერთო კავკასიის სამეურნეო მრეწველობის გამოფენის მოწყობით და აღძრა ამის შესახებ შუამდგომლობა კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის დახმარებით; ამ გარემოებამ აიძულა საზოგადოება გადადვას თავის 50 წლის იუბილეის დღესასწაულის გარდახდა იმ დრომდე, სანამ გარდაწყდებოდეს აღძრული საკითხი.

საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი თავ. ბ. გრუზინსკი“.

✦ ფინანსთა სამინისტროს, კავკასიის მთავარ-მართებლის წარდგენილებისა თანახმად, დაუმტკიცებია სამი წესდება **შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა**—ოზურგეთის მაზრის სოფ. ძიძითისა, მაკვანეთისა და შემოქმედისა.

✦ თავის დროზე მკითხველებს ვაუწყეთ, რომ პეტერბურგში, სამიწად-მოქმედო სამინისტროში, დაარსებულ იქმნა საგანგებო კო-

მისია, რომელსაც დაევალა შემუშავება პროექტისა ქალთა შორის სამეურნეო ცოდნათა გავრცელების შესახებ. გაზეთები იტყობინებიან, რომ კომისიამ უკვე დაასრულა თავისი შრომა და წარუდგინა თავისი მოხსენებანი მინისტრს, რომელიც მალე მისცემს პროექტს კანონიერს მსვლელობას. პროექტით განზრახულია დაარსება 1) დაბალ სამეურნეო (პროფესსიალურ და სპეციალურ) სკოლებისა; 2) საშუალო კურსებისა, რომლებშიაც სწავლა ორი წელიწადი გაგრძელდება და 3) უმაღლეს კურსებისა, რომელნიც უნდა დაარსდნენ ქალების უმაღლეს კურსების სამათემატიკო და ბუნების მეტყველების ფაკულტეტებთან.

◆ სამოქალაქო საქმიო ნაწილის მმართველობამ კავკასიაში შეიმუშავა პროექტი ამიერ-კავკასიის **სასოფლო საქმიო** ნაწილის მართვა-გამგეობის შეცვლის შესახებ.

◆ უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, რომ ქ. ბათუმმა კიდევ ათის წლის განმავლობაში იღოს თითო კაპ. ბათუმის ნავთსადგურში მოტანილ და ნავთსადგურიდან გატანილ საქონლის თითო ფუთზე. ამ გარდასახადიდან დიდი თანხა სდგება ხოლმე ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

◆ უწმიდეს სინოდს გარდაუწყვეტია **დაუნიშნოს ჯამაგირად** პატარა სამაზრო ქალაქების ეკკლესიების მღვდელს 300 მან. და დიაკვანს — 200 მან. წელიწადში.

◆ ქუთაისიდან სწერენ „ივერიას“: „**ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რევიზორები** გაცხარებულს რევიზიაში არიან. თითქმის არც ერთი საყურადღებო საქმე ბანკისა არ დაუტოვებიათ გაუსინჯავი და გაუცნობელი. ამ ჟამად სოფლებსა და დაბა ქალაქებს წავიდნენ იმ მამულების დასათვალიერებლად, რომელიც ბანკს დარჩენია და მის მართვა-გამგეობაში ყოფილა. რევიზორებს თან ახლავთ დამფასებელ კომისიის ძველი წევრი ბ-ნი ნ. გუგუშვილი“.

◆ **ქალაქ ტფილისის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა** 1900 წლისა სათანადო მთავრობამ დაამტკიცა.

◆ კავკასიის უმაღლეს მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დაენიშნოს **ტფილისს** საერობო თანხიდან სამის წლით **შემწეობა** 68.852 მან. წელიწადში ჯარებისთვის სადგომების მოპოვებისა და შენახვისათვის.

◆ სოხუმიდან გვწერენ: „სოხუმი, სხვათა შორის, იმითაც იყო ნაქები, რომ ავკაცობას აქ იშვიათად გაიგონებდით და მოქალაქენი შედარებით გულ-ნებიერადა სცხოვრობდნენ. მაგრამ ეს სამი ოთხი თთვეა ბოროტ-მოქმედთ თავი აიშვეს და გაიმინდვრეს სოხუმი. ჯერ იყო და მიუხტნენ აქაურს მცხოვრებს აზნაურ შარვან კოზმავას სახლში და, თუ რამ ებადა, წაართვეს, კიდევ კარგი, სიცოცხლე შერჩა. აჯვილად წარმოსადგენია, თუ რა რიგ გაკადნიერებულნი არიან ავაზაკობის მომქმედნი. ჯერ შარვან კოზმავას გაძარცვის ამბავი ყველას ყურში გვედგა, რომ 22 მარტს, ნაშუაღამევის 3 საათზე, ქურდები ამბაკო ტილურაძის დუქანში შესულან და გაქურდვა მოუნდომნიათ. პატარა ყმაწვილს თუმცა გამოღვიძნია, მაგრამ შიშით ენა ჩავარდნია სალოდავს და ვერაფერი გაუგონებია ტილურაძის უმცროსი ძმის ივანესთვის, რომელსაც იქვე სძინებია და რომელიც მსხვერპლი შეიქმნა ავაზაკებისი ფულის კოლოფი რომ წაულია ავაზაკს, ისე ივანე ტილურაძესაც გამოღვიძნია. გამოსდგომნია უკან გაქცეულს ქურდს. ფულიანი კოლოფი დაუგდია ქურდს, მაგრამ ტილურაძე არ მოუშვებია, დასწევია და დაუჭერია. ამ დროს ქურდს, რომლის ვინაობაც დღესაც არ იციან, ფერდში დანა ჩაუცია საწყალ ტილურაძისათვის, რომელიც მეორე დღესვე გარდაიცვალა.

იმავე ღამეს ქურდები ერთს ბერძენ ვაჭარს დაესხნენ თავს დუქანში, მაგრამ, ბედად, დროზე გაუგეს და ხელ-ცარიელი გაისტუმრეს.

ეს ამბები რომ ხდებოდა, ქალაქის დასავლეთ მხარეს ერთი თათარი ცოტას გამწყდარა, არ მოუკლავთ ავაზაკებს.

◆ კავკასიის მსროლელთა მეექვსე ბატალიონის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი **ჩაკვაძე**.

◆ ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსებს შეადგინონ სასანიტარო კომისიები და შეუდგნენ დაბა-სოფლებია და ქალაქების დათვალიერებას.

◆ სამიწად-მოქმედო მინისტრმა წინადადება მისცა ტყეების დამცველ კომისიას გადასინჯონ იმ ტყეების პლანები, რომლების დაცვაც მთავრობამ საჭიროდ დაინახა. ამასთანავე კომისიამ უნდა აღნიშნოს ის ადგილები, რომლებიც საძოვრად იყო წინად და მცხოვრებნი სარგებლობდნენ იმით.

◆ 29 მარტს შესდგა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, რომელიც არჩეულ იქმნა საბჭოს მიერ **ფუნიკულიორის** საქმის შესახებ. კრებას თუმცა ოთხი წევრი არ დაესწრო, მაგრამ მაინც განხილულ იქმნა აზრუმიანცის წინადადება. კრებამ დაადგინა, რომ თუმცა არზრუმიანცის წინადადება უფრო სასარგებლოა ქალაქისათვის, მაგრამ, რადგან მთაწმინდის წვერი მაზრაშია და არა ქალაქის ფარგალში და რადგან ქალაქის გამგეობას არ შეუძლიან მოცილეთა გამოწვევა, ამისათვის უარი გამოეცხადოს არზუმანიანცს.

◆ გუშინ, 30 მარტს, არზუმანიანცმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას განცხადება, რომ რადგანაც რობის შეუსყიდნია ის ადგილი, რომელიც მე მქონდა დაკვეთილი და რობი კი მე არ დამითმობს, ამისათვის მე **უარს** ვაცხადებ „ფუნიკულიარის“ გაკეთებაზედაო. ქალაქის გამგეობამ გუშინვე დაადგინა მიღებულ იქმნას ეს თხოვნა და დაუბრუნოს 5,000 მ. გირაოდ წარდგენილი.

◆ „უნიონის“ ფირმამ, რომელიც სხვათა მსურველთა შორის კისრულობს ქალაქის **ელექტრონით** განათებას, სთხოვა ქალაქის გამგეობას მიიწვიოს მისი წარმომადგენელიც პირობათა განხილვის დროს.

◆ 28 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია **საქმე მეგახშე მამიკონოვისა**. მას საოლქო სასამართლომ მიუსაჯა $1\frac{1}{2}$ წელიწადით დაპატიმრება. პალატამ დაამტკიცა ეს განაჩენი და დასტოვა უყურადღებოდ მამიკონოვის აპელლიაცია.

◆ გორში მდ. **მტკვრის ნაპირების გამაგრების** საქმეს, მთავარმართებლის განკარგულებით, განიხილავს მოკლე ხანში მთავარმართებლის საბჭო.

◆ 27 მარტს ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს სამართალში მიუცია თავად აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს ერთი მწერალი, რომელსაც ჰბრალდება მონაწილეობის მიღება **ყალბის საბუთის** ქაღალდების შედგენაში სამეგრელოს თავად-აზნაურთათვის. („ივერია“)

◆ რუისიდან გვწერენ: „26 მარტს სრფ. რუისში მოვიდა გორის მაზრის სასამართლოს ბოქაული და გამოუცხადა სოფლელთ, რომ თქვენზედ არის **აღმასრულებელი ფურცელი** გ. ი. მ—შვილის 200 თუმნისა და უნდა გადაიხადოთო. სად დაიბადა ეს ფურცელი, როდის და ან ვინ იყო მზებია, კი ვერავინ გაიგო! აღმოჩნდა, რომ გ. ი. მ—შვილს შეუტანია საჩივარი სამს კაცზე, რომლებიც ამ ხუთის წლის წინად თურმე სოფლის ვექილებად იყვნენ და დიდი ხანია, აღარც საქმით და აღარც სიტყვით ისინი ამ თანამდებობაზე არ ითვლებიან. თუ ამ ძველის ვექილებისთვის უჩივლია მ—შვილს, როგორც ზევითა ვთქვით, არავას არაფერი გაუგია, და თუ იყვნენ სასამართლოში, რა მოახსენეს მოსამართლეს, არცარავის ის გაუგია, არც გარდაწყვეტილების პირი მიუღია ვისმეს!.. ერთის სიტყვით, ციდან ჩამოვარდა ეს აღმასრულებელი ფურცელი, თუ დედა-მიწიდან ამოვიდა, — არავინ იცის, მაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება. უეჭველია, აქ სოფლის მწერლისა და მამასახლისის ოინებია, რომ სოფელს არც კი ამხელენ უკანასკნელს წამამდის, თორემ ეს ხომ კარგად ვიცით, რომ უწყებები მათ ხელში გაიელიდა. სასაცილო კიდევ ის არის, რომ ამ ვექილებმა ცივი „ატკაზი“ სთქვეს პოლიციის ბოქაულის გოგოხიას წინაშე, რომ ჩვენ არც დაბარებულები ვყოფილვართ და არც სასამართლოში ვყოფილვართო და სხვ. ვერ გაგვიგია, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს!...

◆ კავალერიის გენერლის მეუღლე მ. ი. ნაკაშიძისა აარსებს **ნავთის მწარმოებელთა საზოგადოებას**. ძირითადი თანხა საზოგადოებისა იქმნება 500,000 მან.: დაყოფილია 2 ათას აქციათ, თითოეული აქცია 250 მანეთისა.

◆ ნაფიც ვექილს ბ-ნ ყარაბეგოვს საოლქო სასამართლომ **აღუკრძალა** ექვსის თვის განმავლობაში სავექილო საქმეების დაცვა. მიზეზი ამისა ყოფილა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარში ყარაბეგოვს სასამართლოს მიმართ უხმარია უმართებულო და მკაცრი სიტყვები.

◆ სამოსამართლო პალატის საზოგადო საკრებულოში 1 აპრილს გაირჩევა **საჩივარი** ნაფიცი ვექილის როხლინისა, რომელსაც საოლქო სასამართლომ აღუკრძალა ერთის წლის განმავლობაში სავექილო საქმეების წარმოება.

◆ სამიწად-მოქმედო სამინისტროს გადაუწყვეტია წელსაც დარგოს **ჩაის ხეები** საცდელად სოხუმის სახაზინო საცდელ მინდორზედ.

◆ ხმოსანმა შერშენკომ გაუგზავნა ქალაქის მოურავს წერილი, რომ იგი თავს **ანებებს** საბჭოს როგორც ხმოსანი.

◆ გორის მაზრაში სეტყვისაგან დაზარალებულ გლეხთა სასარგებლოდ, კნ. ს. ვ. ამირეჯიბის თაოსნობით, გამართულმა კონცერტმა, ოთხშაბათს, 29 მარტს, მშვენიერად ჩაიარა. საზოგადოება დიდძალი დაესწრო.

◆ ტფილისის გამგეობამ, თანახმად სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსის ზედამხედველის თხოვნისა, მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს ნება დაერთო ბატკნების დაკვლისა მწუხრის კვირიდან ამაღლებამდე მუხრანიანთ ქუჩის ბოლოში და ავლაბრის ხიდთან. გუბერნატორმა ნება დართო, მაგრამ ამასთანავე დაავალა გამგეობას უეჭველად წლის დამლევამდე წარუდგინოს თავისი აზრი შესახებ ბატკნებისათვის ცალკე საყასბოს გამართვისა.

◆ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი ქუთაისში გამოცემული „სახსოვრად ქართული თეატრის 50 წლის არსებობის დღესასწაულისა", წიგნში 95 გვერდია და ღირს ერთ აბაზად. ამ წიგნის 6 თვის განმავლობაში გამოცემის დღიდან რამდენი ცალი გაიყიდება, იმდენი სამი კაპეიკი გადაეცემა ქუთაისში სახალხო წარმოდგენების მმართველ კომისიას.

◆ 3, 4 და 5 აპრილს ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი კოვალიოვი დაათვალიერებს ტფილისის ყველა ეტლებს, ცხენებს, მეეტლეთა ტანისამოსს და სხვა.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

29 მარტი

**მოსკოვი.** 29 მარტს, დილით, დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ დაათვალიერა კადეტთა მესამე კორპუსი.

**ლონდონი.** „Daily Mail"-ს დეპეშით ატყობინებენ ბრანდსფონტენიდან 8 აპრილს (ახალი სტილით): „დევეტმა დაამარცხა გუშინ ინგლისელები მერკატსფონტენთან. 600 ინგლისელია მოკლული და დაჭრილი, 900 კაცი ტყვედ არის წაყვანილი; გარდა ამისა 12 ფურგონი სურსათით წაართვეს ბურებმა ინგლისელთ. ბურებს 5 კაცი მოუკლეს და 9 დაუჭრეს".

10 აპრილს იქიდან ატყობინებენ «Daily Mail»-ს: „ნიდერლანდიელთა რკინის გზების აქაური საზოგადოება დაბეჯითებით ამბობს: მოვიდა ცნობა, რომ ბურებმა საშინლად დაამარცხეს ინგლისელები კრონშტადტთან მომხდარ ბრძოლაში. 900 ინგლისელია წაყვანილი ტყვედ. ბურებს ცოტა მოუკლეს".

„დეილი ნიუს"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა პრეტორიიდან: „ოფიციალურის ცნობებით, უკანასკნელს ბრძოლაში, რომელიც მოხდა 7 აპრილს ბრანდფონტენიდან სამხრეთით, 600 ინგლისელია მოკლული და დაჭრილი და 800 ტყვედ წაყვანილი".

სხვა ცნობებიც, რომელიც ლონდონში მოვიდა ბურების წყაროებიდან, ირწმუნებიან, რომ ბურებმა ძალიან გაიმარჯვესო მერკატსფონტენთან. ბურებს მეტად ცოტა ჰყავთ მოკლულ-დაჭრილი. გაიმარჯვა დევეტმა.

**ლონდონი.** სამხედრო უწყებას $12^1/_2$ საათამდე არ მიუღია ცნობა ბურების გამარჯვების შესახებ მერკატსფონტენთან.

**ლონდონი.** „მორნინგ პოსტ"-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდან 9 აპრილს, რომ ინგლისელები სიჩქარით აკეთებენ სიმაგრეებს ბლუმფონტენის ირგვლივ მდებარე მთებზე. სამუშაოდ გამოყვანილი ბევრი მოქალაქე.

„სტანდარტ" ს დეპეშით ატყობინებენ დურბანიდან 10 აპრილს: „აქეთკენ მოდის დიდძალი ჯარი ბულლერისა. როგორც ამბობენ, ეს ჯარი გაიგზავნება აქედან გემებით კაპის ახალშენში. ორი პოლკი უკვე მოვიდა და, ალბათ, დღესვე იქმნებიან გაგზავნილი. გუშინ წავიდა აქედან ბეირას, როდეზიისაკენ, 12 ბრიტანელი აფიცერი გემით „König".

„ტაიმს"-ს დეპეშით ატყობინებენ შვარცკოფფონტენიდან 9 აპრილს: „მეტუენის ჯარები აქ გაჩერდნენ ჯერ-ჯეროპით და დაბანაკდნენ 10 მილის მანძილზე ბოსგოფიდან აღმოსავლეთით. ცხენოსანმა რაზმმა დაზვერა მიდამოები აღმოსავლეთით; გზაში შეხვდა ბურების მხოლოდ პატარა რაზმს, რომელიც გაიქცა.

**ლონდონი.** „ტაიმს" ს ატყობინებენ 9 აპრილს პრეტორიიდან: „როდესაც სასამართლოში არჩევდნენ საქმეს სამის დამნაშავისას, რომელთაც ბრალდებოდათ თავსდასხმა სახელმწიფო მადნების ინჟენერის მუნნიკისა, უკანასკნელმა ჩვენება მისცა, რომ, რეიცის მოწერილობის თანახმად, მან განკარგულება მოახდინა—25 მადანში ლაღმები გაეკეთებინათ.

**ბლუმფონტენი.** გატეკრი ინლისში მიდის. მის ადგილას დანიშნულია მეთერთმეტე დივიზიის უფროსი გერმსაიდი. უეჭველია, ჯარის უფროსებში კიდევ ბევრი ცვლილება მოხდება.

**ალივალნორტი.** გუშინ ინგლისელებს ვეპერენთან მოუკლეს 11 კაცი და დაუჭრეს 41. დღეს ბრძოლა ისევ დაიწყო. ინგლისელები ცდილობენ პოზიციების დაცვას.

**ვაშინგტონი.** სამხედრო გემს „Bennington"-ს ებრძანა ჩინეთისაკენ წასვლა.

ნიუ-იორკის გაზეთის „ჟურნალ"-ის ცნობით, ინგლისის მთავრობამ ამერიკაში დაიკვეთა 30 ათასი ან 35 ათასი ცხენი აფრიკისათვის.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება 10 აპრილს ბლუმფონტენიდან: „უკანასკნელ დროს მტერი უფრო და უფრო მხნედ მოქმედობს. ბურების ერთი რაზმი სდგას ორანჟეს მდინარის ჩრდილოეთით ალივალნორტის მახლობლად; მეორემ კი იერიში მიიტანა ვეპენერის ჯარზე, რომელიც მამაცურად ეწინააღმდეგება და გუშინ ბურები დიდადაც დააზარალა.

30 მარტი

**ბლუმფონტენი.** გენერალი გერმსაიდი კი არა, გენერალი პოლკერიუა დანიშნული მე-11 დივიზიის სარდლად.

**ბრიუსელი.** წარმომადგენელთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა წაიკითხა, რომ მეფემ აჩუქა სახელმწიფოს ყველა თავისი უძრავი ქონება. მთელმა პალატამ ცნობა მიიღო ხანგრძლივი ტაშის ცემით.

**პარიჟი.** პალატა. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს კაგენი (მემარჯვენე) კრიტიკულად შეეხო მმართველობის საზოგადო პოლიტიკას. ვალდეკ-რუსსო იცავს თავის პოლიტიკას, რომლის წყალობით,—ამბობს იგი, — სახელმწიფოს დაუბრუნდა მშვიდობიანობა, და გამოფენა შეიქმნება დამამტკიცებლად იმისა, რომ ხელახლად შეძენილ იქმნა ზნეობრივი მშვიდობიანობა". მელინი ჰკიცხავს მმართველობას იმისათვის, რომ იგი ჰფარველობს სოციალისტებს. პალატამ 286 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 211 ხმისა დაადგინა გააკრას ყველგან ვალდეკ-რუსსოს მიერ წარმოთქმული სიტყვა.

**პრეტორია.** უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ ელანდსლაგტთან კვლავ ბრძოლაა. აქ ამბობენ, რომ ბადენ-პაუელი გარდაიცვალა მეფკინგში.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა ამბობს „ბულლერი იტყობინება, რომ მტერმა გუშინ მიიტანა იერიში მისი ჯარების მარცხენა მხარეზედ იმ დროს, როდესაც ჯარები იცვლიდნენ პოზიციას. ბრიტანიის არტილლერიამ გააჩუმა ბურების ზარბაზნები. ბურებს თავდასხმა აღარ განუმეორებიათ. ინგლისელებს მოუკლეს 4, დაუჭრეს 8",

**ლედი სმიტი.** დღეს დილით დაიწყეს ზარბაზნის სროლა. გასტანა სამი საათი. ბურებმა გამართეს სროლა ექვსი დიდი ზარბაზნიდან, რომლებიც აქამდის დამალული ჰქონდათ, და ისროდნენ ბრიტანელთა ბანაკში ყუმბარებს. საზღვაო ზარბაზნებმა უპასუხეს და როგორც ჰფიქრობენ, ბურების ერთი ზარბაზანი დააზიანე. ამასობაში ბურები შეეცადნენ მოეარნათ ინგლისის ჯარის მარჯვენა ფრთისათვის, მაგრამ ამას ინგლისელებმა დროზედ ხელი შეუშალეს. მოკლულია 2 მატროსი არტილლერის მოსამსახურეთაგან. ინგლისებს ამას გარდა სხვა ზარალიც მოუვიდათ. ხმა არის, ვითომც ელანდსლაგტეს სამხრეთ დასავლეთის მხრიდან გამოჩნდა ბურების რაზმი.

**ლონდონი.** ახალ-შენების სამინისტრომ მიიღო სასიამოვნო ცნობები კუმასსიდან. ტელეგრაფის მუშაობა აღდგენილია.

**პრაგა.** კლაპპაში დაინგრა გუშინ 14 სახლი, კიდევ ექვსი სახლია საშიშ მდგომარეობაში.

**ლედი-სმიტი.** 29 მარტს, დილით, ბურებმა დაიწყეს სროლა ყუმბარებისა ინგლისელთა ბანაკში ელანდელაგტთან სამი პოზიციიდან, რომლებიც ერთმანეთს დაშორებულნი არიან საკმაოდ დიდ მანძილზე. სროლას არავითარი ზარალი არ მოუტანია. ყუმბარები ვოლინტიორთა ბანაკში ცვიოდა. ცხენოსანმა და ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა დაათვალიერეს მიდამო და აღმოაჩინეს, რომ მტერი მრავალია და კარგი თხრილებით შემოზღუდული. ხომალდების ზარბაზნებიდან უპასუხეს ბურთა სროლას. „გძელი თომას" ზარბაზანი კვლავ დადგეს ბურებმა პოზიციაზე.

**კოლსბერგი.** საზღვარზე არეულობისა გამო, რობერტსმა გსცა პროკლამაცია, რომლითაც უცხადებს კაპის ახალშენის ჩრდილოეთ ოლქის მცხოვრებთ, რომ შემდეგში იგი შებრალებით არ მოექცევა ბოროტ-მოქმედთ და სასტიკათ დასჯის მათ სამხედრო დროისათვის არსებულ კანონით.

**სიმონ-ეტუნს.** რადგან აღმოჩნდა, რომ ყოველ დღე მიღებული ზომები ტყვეთა შესანახავად, იწვევს თან და თან მეტს უსიამოვნებას, აპირებენ რაც შეიძლება მალე გაგზავნონ ყველა ტყვენი წმ. ელენეს კუნძულზე. ავადმყოფობამ იკლო: ორშაბათიდან მხოლოდ ერთი კაცი გარდაიცვალა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ლაზი კითხულობს,—ნებართვას თუ არა გალიფე აფიცრებს დაესწრნენ ვილბუაგორლის სულის მოსახსენებლად, გარდახდილ პანაშვიდს. გალიფემ უპასუხა, რომ აფიცრებს შეუძლიანთ დაესწრნენ ლიცვას, რადგანაც ეს პოლიტიკური კითხვა არ არის. გალიფე იმედოვნებს რომ თუ რაიმე არეულობა მოხდება, ოფიცრები მონაწილეობას არ მიიღებენ. ისმის ტაშის ცემა. დელკასსეჰ ბერძის და კასტელენის შეკითხვის შესახებ, რომელიც შეეხება ინგლისის ჯარების გაელას ბეირუზე, განაცხადა, რომ შეუძლებელია მსჯელობა ვიქონიოთ საერთაშორისო საკითხის შესახებ, როცა საქმეში საფრანგეთს არავითარი მონაწილეობა არა აქვს. საფრანგეთმა განაცხადა, რომ სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეებში იგი ეჭიერს ნეიტრალურ მხარეს, მაგრამ მისთვის არავის დაუვალებია წინაალუდგეს სხვა სახელმწიფოების მოქმედებას, თუ იგინიც ნეიტრალიტურის მომხრენი არ იქმნებიან. საფრანგეთს არავითარი შიში არა აქვს სამხრეთ აფრიკაში და კიდეც რომ იყოს რაიმე საშიში,—მთავრობა მოახერხებდა სახელმწიფოს ინტერესების დაცვას. (ისმის ტაშის ცემა) შეკითხვა გადადებულ იქმნა ერთი თვით.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

---

# გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდრო ცნობები

**პარასკევი,** 30 მარტი; ახალი სტილით 13 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 275 დღე. მთვარის მე-15 დღე. დიდი მარხვისა. მეორმოცე დღე. ხსენება ღირსისა იპატისა, აპოლლონისა, იონასი და იოსებისა.

**შაბათი,** 1 აპრილი; ახალი სტილით 14 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 274 დღე. მთვარის, მე-16 დღე. დიდი-მარხვის. ორმოც-და-პირველი დღე. ხსენება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა; ღირსისა ევთიმესი და მაკარისა.

შემდეგი უქმე: 6 აპრილს—დიდი ხუთშაბათი.

---

### ნ ი ხ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 კ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჭკ. მპ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

---

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზადზე,

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი ხორბლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი— 3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა, წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იეღიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი— ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—კომ9 წ. საღ.

ფოთიდან მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს . 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი— დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის— 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

---

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Марта, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.